

არქეოლოგია ◆ Archaeology ◆ Археология

ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის დაბლობზე შუაბრინჯაოს მიწურულში კერამიკულ ნარმოებაში მომხდარი ცვლილებები (გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა)

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს მიწურულშა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე კერამიკულ ნარმოებაში ხვდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. ხმარებიდან გამოდის შუაბრინჯაოს ეპოქისათვის (პროტოკოლხური II ეტაპი)¹ დამახასიათებელი ძირითადი განმსაზღვრელი თიხის ნანარმი და მეთუნეობაში ინერგება ახალი ფორმები და განსხვავებული ორნამენტული სახეები. ამ ფაქტს კარგად გაედევნება თვალი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის ე.წ. შერეულ კულტურულ ფენებში, სადაც ფიქსირდება ერთ ფენაში თავმოყრილი ორივე ეპოქისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა [ჯიბლაძე 1997:70; ჯიბლაძე 2007: 17, ტაბ. XX; პაპუამჭილი რ., პაპუამჭილი ნ., 2005 : ტაბ. X]. კოლხეთის დაბლობზე კერამიკულ ნარმოებაში მომხვდარი ეს ცვლილები დასტურდება მხოლოდ ნამოსახლარის მასალების მიხედვით, რადგან სხვა კატეგორიის ძეგლები, როგორიც არის მაგალითად სამაროვანი, საკვლევ მხარეში საერთოდ არ არის აღმოჩენილი. ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა კერამიკულ ნარმოებაში მომხდარი ეს ცვლილებები?

კოლხეთის დაბლობზე ძ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში კერამიკულ ნარმოებაში ახალი ელემენტების დამკვიდრება, რომელიც განსაკუთრებით კარგად იგრძნობა მანამდე უცნობი ორნამენტული მოტივების გავრცელებით, ნაკლებად სავარაუდოა დავუკავშიროთ თიხის პრიმიტიული მორგვის გამოყენებას.²

¹ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა პროტოკოლხური II ეტაპის გამოყოფასთან დაკავშირდებით. პროფ. თ. მიქელაძე მ. ეტაბას, ობიექტური მიზეზების გამო (რადგან იმ პერიოდში არ იყო გათხრილი ფიჩორის პროტოკოლხური პერიოდის ფენები და ა.შ.) გამოყოფს ნოსირი მესამის I,II ფენებზე დაყრდნობით; მეორე ნანილი (ლ. ჯიბლაძე) კა ფიჩორის VI, V ფენებზე დაყრდნობით ვარაუდობს ამ ეტაპის გამოყოფას. როდესაც ვსაუბრობა ამ ხანაზე, მხედველობაში გვაქვს ჩვენს მიერ გამოყოფილი ეტაპი. შეადარეთ ერთმანეთს [Mikeladze T. 1990: ტაბ. XXXIV; ჯიბლაძე 2007:103-110, ტაბ. XXI-XXII].

² თიხის მორგვი (ანუ ხელის მორგვი) უფრო ძველი და პრიმიტიული ხელსაწყისიყო, ვიდრე უფრო განვითარებული ჩარხი (ფეხის ჩარხი) [ბოჭორიშვილი 1949; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011:273].

ვფიქრობთ, სადლეისო მონაცემებით ამ მოსაზრების დამატეკიცებელი არგუმენტი ნაკლებად გაგვაჩნია. მართალია აღნიშნული პერიოდის ზოგიერთი ნამოსახლარის (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა, აბედათის II ფენა და სხვ. – ძვ.წ. XVI-XV-IV სს-ები) თიხის ჭურჭლის გარკვეულ ჯგუფზე შიდა მხრიდან ჩნდება უხეშად შესრულებული კონცენტრული ნრიული ხაზები, რომლებიც დიდი ალბათობით უნდა მიგვანიშნებდეს თიხის მორგვის (ვგულისხმობთ ხელის მორგვას) ეპიზოდური გამოყენების კვალზე [ფხავაძე 1978: 140; ჯიბლაძე 1997: 111].³ მაგრამ უმეტეს თიხის ჭურჭელზე ასეთი ნიშნები საერთოდ არ შეინიშნება. შეიძლება ითქვას, რომ ძველკოლხურ I ეტაპზე (დაახლოებით ძვ.წ. XIV-X სს-ები) კოლხეთის ძველი მოსახლეობა ჯერ კიდევ ამჯობინებდა ხელით ნაძერნ ჭურჭელს. ნაკლებ გამოყენებაში უნდა ყოფილიყო თიხის მორგვაზე დამზადებული კერამიკა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ უფრო დაწინაურებული ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც მორგვზე დამზადებული კერამიკა მასიურად ვრცელდება შუაბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპიდან [ფიცხელაური 1973: 99].

საერთოდ კოლხეთის დაბლობის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გარკვეული ნიმუშებისა და ნიშნების მიხედვით (რუხინაცრისფერი გამოწვა, ერთფენიანი კეცი, თიხის სტრუქტურული შემადგენლობა) შეინიშნება განვითარების ერთი საერთო ხაზი. გარკვეული გენეტიკური კავშირები ვლინდება ზემოდან სამკუთხედისებურად შებრტყელებული ყურებით, მილისებური გადმოსასახმელიანი ჯამებით, სავარცხლისქილისებური ორნამენტითა და მისი სხვადასხვა ვარიაციებით შემკული, პირგაშლილი უყვალო ქოთხების ზოგიერთი სახეობით.

პროტოკოლებურ⁴ კულტურაში პირგაშლილ ქოთხებს ამკობს რელიეფურ სარტყელზე გამოყვანილი ნათითური ფოსოები, ჯიბისებური (ჩანთისებური) დანაძერნები (ტაბ. I, II). უმრავლესობას ზედაპირზე ეტყობა უსისტემოდ განლაგებული ნაფო-

³ ნოსირის III ნამოსახლარზე (III ფენა) ძვ.წ. XIII-XII-XI სს-ებით ათარიღებენ ჩარხიანი კერამიკის გამოჩენას [გოგაძე 1982: 56]. როგორც ვარაუდობენ, მთიან კოლხეთში (ბრილის სამაროვანი) ჩარხიანი კერამიკა დასტურდება გვიანი ბრინჯაოს ხანიდან [გოგაძეშვილი, ჯაფარიძე 1959: 132].

⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში პროვ. თ. მიქელაძის მიერ იქნა დამკვიდრებული ტერმინი პროტოკოლებური და ძველი კოლხური კულტურა (ან ეპოქა, პერიოდი), რომელსაც ჩვენც ვაყენებთ [მიქელაძე 1974: 49; მიქელაძე 1990, ტაბ. XXXVII]. პროტოკოლებურ I ეტაპში იგულისხმება ადრებრინჯაოს ხანა, პროტოკოლებურ II ეტაპში – შუაბრინჯაოს ხანა, ძველკოლხურ I ეტაპში – გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. XV-X სს-ები) და ძველკოლხურ II ეტაპში – ადრეკინის ხანა (ძვ.წ. X-VII სს-ები).

ტისმაგვარი ნივთით მოსწორების კვალი. ამ ტიპის ჭურჭელს ძველკოლხურ I ეტაპზე (დაახლოებით ძ.წ. XIV-X სს-ები) ფორმა უნარჩუნდება. იცვლება მხოლოდ ორნამენტაცია. ვრცელდება სავარცხლისკბილისებური ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციებით, ნახევარრკალების რამდენიმე რიგით, ფესტონებით, შევრონებით, დარული მოტივებით, ნაძვისებური შტრიხებით, ნახევარმთვარისებური დანაძერწებით, წყვილად დატანილი კოპებითა და პარკეტული ორნამენტით გაფორმებული თიხის ჭურჭელი (ტაბ. III, IV).

შუაბრინჯაოს მიწურულში კოლხეთის დაბლობზე კერამიკულ წარმოებაში ზოგიერთი ელემენტის გავრცელებასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული, რომელსაც აღნიშნული საკითხის უკეთ წვდომისათვის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შევეხებით.

კოლხეთის დაბლობის კერამიკულ ნაწარმში ახალი ელემენტების გაჩენას ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება.⁵ იგი ნაოხვამუს მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ კოლხური კულტურა მანამდე სრულიად არ იცნობდა სავარცხლისკბილისებურ შტამპიან კერამიკას [Куфтин 1950:165-166]. მისი აზრით, საშუალო ზომის ჭურჭელი კოპისებური ნანაზარდების ირგვლივ შემცული ამოდარული წრეებითა და ნახევარზრეებით, მათი თანმხელები ყურები და ზოგიერთი ფორმა ძალზე უახლოვდება ჩრდილო იტალიაში მდ. პოს ხეობაში გავრცელებულ ტერა-მარების კულტურისა და სარდინია-დუნაისპირეთის მასალებს [Куфтин 1950: 237, 240, სურ. 63].

ცნობილი მეცნიერი მართალი იყო ამ მოსაზრების გამოთქმისას, რადგან სწორედ XX საუკუნის ვი-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო პირველი არქეოლოგიური გათხრები კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე (ქვალონის ნაოხვამუ, ანაკლია I, ოჩამჩირე, დაბლაგომი) და საკვლევ მხარეში ბევრი შესადარებელი თიხის ჭურჭელი არ მოიპოვებოდა. იგი პარალელურ მასალებს ეძებდა კოლხეთის ფარგლებს გარეთ გავრცელებული არქეოლოგიური კულტურების თიხის ნანარმში. აქვე ვიტყვით, რომ ბ. კუფტინი ნაოხვამუსა და ანაკლია I-ის (ქვედა ფენები) შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მასალებს შორის განსხვავებას ხსნიდა არა მარტო ქრონოლოგიური არათანხვედრით, არამედ რაღაც ეთნიკური ან სამეურნეო თავისებურებებით, რომელიც რიონის

⁵ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელ კულტურის თანმიმდევრულ განვითარებაში, მკვეთრ გარდატეხას ამჩნევენ მხოლოდ გვიან-ბრინჯაოს ხანიდან [ჯაფარიძე 1991: 102].

დაბლობის უძველეს მოსახლეობას განასხვავებდა მთისწინა და ზღვისპირა ზოლის მობინადრეებისაგან [Куфтин 1950: 256-257].⁶

პროფ. თ. მიქელაძე როდესაც საუბრობდა ძველკოლხურ კერამიკაზე, აღნიშნავდა, რომ განსაკუთრებით გამოსაყოფია მისი თანხვედრები 2000-1250 წწ. დათარიღებულ იტალიურ ჭურჭელთან, რომელთაც ერთმანეთთან აახლოებს ორნამენტი და მსგავსი ფორმის ყურები [Микеладзе 1990: 21; Микеладзе 1994: 70]. მისი აზრით, იტალიაში უფრო გვიანდელ ფაზაზე (TM II-1250-700] ჩნდება კოლხეთის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისა და გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანისათვის დამახასიათებელი ადრიატიკული კლასის ჭურჭელი [Микеладзе 1994: 70]. შემდგომში სხვა მკვლევარებმაც გაამახვილეს ყურადღება ამ კულტურთა შორის კერამიკული მასალების მიხედვით ერთმანეთთან მსგავსებაზე [ბარამიძე 1998: 85; ჯიბლაძე 1997: 115-116].

ვ. აფაქიძემ განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩაატარა ძველი კოლხური კულტურის ნამოსახლარების კერამიკული მასალების მიხედვით საგარეო კავშირების დადგენაზე გარე სამყაროს თიხის ნანარმთან [აფაქიძე 2003: 49-62]. მეცნიერის აზრით, ძვ. კოლხური I ეტაპის კერამიკა (ძვ.წ. XVIII-XII სს-ები) ახლოს დგას ეგეოსის, დუნაის აუზისა და ტრამარების თიხის ნანარმთან. განსაკუთრებით კი გამოსაყოფია მსგავსებები ძვ. კოლხურ და ჩრდილო იტალიაში (მდ. პოს ხეობა) გავრცელებულ ტრამარების კულტურებს შორის თიხის ჭურჭლის ყურებისა და ორნამეტაციის ზოგიერთი სახეობის მხრივ [აფაქიძე 2003: 50, ტაბ. III, IV, V]. მათ შორის ასევე ახლო პარალელები შეინიშნება ბრინჯაოს ზოგიერთი ინვეტარის მიხედვითაც [აფაქიძე 2003: 49].⁷

⁶ პროფ. თ. მიქელაძემ თავის დროზე არ გაიზიარა ეს მოსაზრება. მისი აზრით, ნაოხვამუსა და ანაკლია I ტიპის კერამიკა გვხვდება როგორც ზღვისპირა, ასევე მთისწინა ზოლში [მიქელაძე 1974: 51]. შველევარის ხელისრის ხამოსახლარის სტრატიგიური ფრანზე დაკრინობით მიაჩნია, რომ პროტოკოლხური კერამიკა კოლხურია, რადგან ჭურჭლის შემცულობის თვალსაზრისით, მისა თავისებური პრინციპებით ბევრი საერთო აქვს მასთან. იგი აქედან გამომდინარე, ამ პერიოდებს შორის აღიარებს გენეტიკურ კავშირებს [მიქელაძე 1974: 47, 67-68]. ეს მოსაზრება ცალკეული ძეგლების მიხედვით გაზიარებულ იქნა მკვლევართა მიერ [სახუტაშვილი 1995: 43; ბარამიძე 2017: 63-76; კორუვე, გოგაძე 1971: 46]. ჩვენის მხრიდან აღვნიშნავთ, რომ შუა და გვანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის მეტვიდრეობითი კავშირები კარგად იკვეთება ბრინჯაოს ცულების, თოხების, ქვის ინვენტარისა და სხვა კომპონენტების მიხედვით [ჯიბლაძე 2001: 7-18; ჯიბლაძე 2007: 93-99].

⁷ მკვლევარის აზრით, აღნიშნულ რეგიონებთან კავშირები შეიმჩნევა ასევე ბრინჯაოს ნაკეთობების მიხედვით (ზარნაკები, საკინძები, სატევარი, ფიბულები) [აფაქიძე 2003: 49]. მას დასაშვებად მიაჩნია სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის კავშირები კოლხეთთან შავი ზღვის გავლით.

კოტე ფიცხელაურის აზრით, გარდა ტერამარებისა კოლხური კერამიკა გარკვეულ კავშირებს ამჟღავნებს ალპების აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთი რაიონისა და დუნაის აუზის თიხის ჭურჭელთან [ფიცხელაური 2012: 84]. მისი აზრით, ეს კავშირულთიერთობები, ჯონი აფაქიძისგან განსხვავებით, არ უნდა განხორციელებულიყო მაინდამაინჯ შავი ზღვის გავლით და ამ პროცესების მიმდინარეობისას არ გამორიცხავს სახმელეთო გზის გამოყენებასაც.

ფიქრობენ, რომ სამხრეთ კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის კულტურებს ევროპასთან ურთიერთობათა აღსადგენად ერთადერთი გზა რჩებოდა, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს მიუყენებოდა. აქ კი გადამწყვეტი როლი ენიჭებოდათ შუაბრინჯაოს ხანის პროტოკოლხურ და დოლმენურ კულტურებს, რომელებიც აღნიშნულ მაგისტრალზე მდებარეობა და აკონტროლებდნენ ამ მონაკვეთს [ფიცხელაური 2012: 82].⁸

აკადემიკოსმა კ. ფიცხელაურმა უკანასკნელ პერიოდში გააუღერა ძალზე საინტერესო მოსაზრება, რომელიც შეიძლება ითქვას არსებითად განსხვავდება სხვადასხვა მკვლევართა მიერ მანამდე არსებული შეხედულებებისაგან. ცნობილი მეცნიერის აზრით, კოლხეთის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს ხანაში თიხის ჭურჭელზე მწკრივებად განლაგებული ნაჭდევი წერტილოვანი ორნამენტის პირველი მასიური გამოჩენა, ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია სტეპური სამყაროს კულტურებისათვის, მათ შორის კატაკომბელებისთვისაც.⁹ მისი აზრით, პროტოკოლხურ კერამი-

⁸ კოტე ფიცხელაური ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც აღიარებენ შუაბრინჯაოს ხანაში კოლხური კერამიკის გარეგნულ იერსახეში შევეთრ ცვლილებებს. მისი აზრით, თავისებური კერამიკა, რომელიც კილხებიში შუაბრინჯაოს ხანიდან ჩნდება, აბსოლუტურად განსხვავდება მის ირგვლივ არსებული თანადროული თიხის ნაწარმისაგან და მისი ნარმომავლობის ძიებისას სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს გათვალისწინებული [ფიცხელაური 2012: 83].

⁹ კატაკომბური შუაბრინჯაოს ხანის კულტურა (კულტურულ-ისტორიული ერთობა), რომელიც გენეტიკურად უკავშირდება ძეველორმოიან კულტურას, გამოყოფილი იქნა რუსა არქეოლოგის ვ. გოროდცოვის მიერ (1901–1903 წწ). ამ კულტურისთვის დამახასიათებელია ყორლანული სამარტები, საგვარეულო ნამოსახლარები და ა.შ. გავრცელებული იყო სტეპურ და ტყე-ველიან ზოლში ურალისპირეთიდან, ჩრდილო კავკასიის ჩაივლით, მდ. დუნაის ქვემო წელამდე. კატაკომბურ ისტორიულ-კულტურულ ერთობაში გამოყოფენ რამდენიმე კულტურას: ადრე კატაკომბური (ძვ. წ. XXV–XXIII სს), დონეცკის (ძვ. წ. XIII–XX სს), ხარკოვ-ვორონეჟის (შუა დონური, ძვ. წ. XXVII, XXVII–XX სს) და ინგულსკის (ძვ. წ. XXVIII–XX სს). ამ კულტურის დათარიღებაზე გამოთქმული მოსაზრებები მეტნაკლებად ერთმანეთს ემთხვევა [Большая Советская Энциклопедия 1973: 1531; Попова 1955; Катакомбная культурно-историческая общность. Материал из википедии-свободной энциклопедии].

კაზე დატანილი კერამიკის რამდენიმე სახეობა ზუსტად იმეორებს კატაკობური კულტურის ძირითად ნახაზს, რომელიც ადრე სრულიად უცნობი იყო ამ მხარის კულტურისათვის [ფიცხელაური 2014: 84]. ორნამენტის ეს სახე შეცვლილი ფორმით გვხვდება ტერამარების კულტურაში. ამიტომ, დასაშვებად მიაჩინია პროტოკოლხურისა და ტერამარების კულტურების შესაძლო კავშირები კატაკომბელებთან [ფიცხელაური 2014:84].

როგორც ვხედავთ, არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული ძველი კოლხური კულტურის კერამიკის მსგავსებაზე ტერამარების (მდ. პოს დაბლობი), თიხის ნაწარმთან, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. პირველ რიგში გვაინტერესებს ამ კულტურათა შორის შესაძლო ურთიერთკავშირების დამყარებისას, სად უნდა გაევლო მათ დამაკავშირებელ გზებს და ამ შემთხვევაში რა როლი უნდა ეთამაშა შავი ზღვის ჩრდილო სტეპურ ზონაში გამავალ ერთად-ერთ სახმელეთო მაგისტრალს. პროტოკოლხური კულტურის სტეპურ სამყაროსთან კავშირები რომ არსებობდა უდავოა. ამას უნდა ადასტურებდეს კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი, გრანიტის ქვისგან დამზადებული ზედაპირნაპრიალები ყუახვრელიანი ქვის ცულები. ვფიქრობთ მისი ჩრდილოური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს [ჯიბლაძე 2007:39-43; ფიცხელაური 2014:84]. ძნელი სათემელია, რამდენად უნდა მოეხდინა გავლენები კატა-კომბური კულტურიდან მომავალ იმპულსებს პროტოკოლხურ კერამიკაზე. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კატა-კომბურ კულტურაში გვხვდება ისეთი ორნამენტული სახეები, რომლებიც ახლო პარალელებს პოულობს პროტოკოლხურ და ძველკოლხურ ხანაში გავრცელებულ კერამიკის შემკობასთან. მხედველობაში გვაქვს ქიოთხებისა და სხვა სახის თიხის ჭურჭლის ზედაპირზე ჰორიზონტალურად დატანილი ჭდეული ან ნათი-თურფოსოებიანი რელიეფური დანახერნების რამდენიმე რიგი, თიხის ჭურჭლის ყელზე შემოყოლილი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით დასმული თევზიტხეური ორნამენტები, დარული შემკობის სხვადასხვა ვარიაციებით გადმოცემა, ფოსოებითა და მარცვლოვანი ჭდეებით ჭურჭლის გაფორმება, ნაფოტისმაგვარი ნივთით კერამიკის ზედაპირის მოსწორების შედეგად დარჩენილი უსისტემო ხაზები, ერთმანეთში ჩასმული ნახევარრკალების რამდენიმე რიგი, წინვისებური ორნამენტი, სპირალები და სხვ. [Попова 1955: 15, 38, 55; სურ. 1-3; 5-1,3; 8-4; 16-1-4].

ვფიქრობთ, ამგვარი შორეული ანალოგიები არ უნდა მიგვითითებდეს მჭიდრო კავშირურთიერთობებზე. მაგრამ არც იმის უგულველყოფა შეიძლება, რომ აღნიშნულ კულტურათა შორის, შორეული კავშირები მართლაც ისახება ცალკეული ელე-

მენტების მიხედვით. მათი უფრო ნათლად წარმოჩენა მომავალში სპეციალური კვლევის საქმეა.

ძნელია იმის თქმა, რამდენად რეალურია პროტოკოლზურ და ტერამარების (ვგულისხმობთ მდ. დუნაის აუზსაც) კულტურებს შორის კონტაქტების დამყარებისას ანატოლიის ტერიტორიის გაფლით სახმელეთო გზის გამოყენება. უფრო მისაღები ხომ არ უნდა იყოს არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს ხანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კავშირები კოლხეთთან მიმდინარეობდა შავი ზღვის მეშვეობით [აფაქიძე 2003: 52-53]. როგორც ვარაუდობენ, კოლხეთის დაბლობს, მდ. პოს დაბლობსა და დუნაის აუზს შორის კავშირულთიერთობებს უნდა ქონდა სავაჭრო ხასიათი [აფაქიძე 2003:53].

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე (მეტადრე ვგულისხმობთ იმ მონაცევის, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება კოლხეთს სამხრეთ აღმოსავლეთი მხრიდან), ერთი ფაქტიც არ დასტურდება კოლხური კერამიკის აღმოჩენის. არადა, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული, ბრინჯაოს არაერთი ცულია გამოვლენილი (ართვინის, მეხრის ციხის, ორდუს განძები, რიზეს, ტრაპიზონის, გირესუნის მუზეუმებში დაცული კოლხური ცულები). ეს ფაქტები ცხადყოფენ კოლხური კულტურის რადიაციას ამ ზონაში [ქორიძე 1965:20, 21, 37; სინან კილიჯი 2019: 68-89].

ცენტრალურ ანატოლიასთან გარკვეული კონტაქტები რომ არ-სებობდა უძველეს პერიოდში, ამას მოწმობს სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში მახვილაურის გორა-ნამოსახლარზე მოპოვებული პროტოხეთური კერამიკა, რომელიც უძველესი იმპორტია ამიერკავკასიაში. როგორც აღნიშნავენ, იგი უკავშირდება როგორც ანატოლიის თუ წინა აზიის ქვეყნებს, ისე ეგეოსურ ცივილიზაციებს [კახიძე და სხვ. 2016: 45-49; კახიძე, სურმანიძე 2018 :174].

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ პროტოკოლზური და ძველი კოლხური კულტურების ეთნიკური ატრიბუციის საკითხებს. მკვლევართა ნაწილი ამ კულტურებს უკავშირებს უძველეს ქართველურ ეთნიკურ კულტურულ წაკადებს – სვანურ და მეგრულ-ზანურენოვან მოსახლეობას, რომელთა პირველსაცხოვრის ადგილად მოიაზრებენ მცირე კავკასიის ტერიტორიას, პროტოხეთურ სამყაროს, ზაგროსისა და კავკასიის მაღალმთიან ზონას, კოლხეთის დაბლობთან ერთად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს [მელიქიშვილი 1965: 72; მელიქიშვილი 1970: 342; მიქელაძე 1974:20; ლორთქიფანიძე 1986: 49 და სხვ.]. გლოტოქრო-

ნოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ერთდროულად უნდა მომხდარიყო საერთო ქართული ენიდან სვანურის გამოყოფა, მათი მოსვლა და დასახლება საქართველოს ზღვისპირა ზოლში. მათ კვალს ამჩინევენ როგორც მეტყველი ტოპონიმებით, ასევე ლინგვისტური მასალებით და არქეოლოგიური მონაცემებით [მელიქიშვილი 1970:341; მიქელაძე 1974:58; ლორთქიფანიძე 1986: 51; მიბჩუანი 1989]. მკვლევარები (გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე, ი. ორბელი, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე) სვანურენოვან მოსახლეობას თვლის პროტოკოლხური კულტურის (I ეტაპი – ადრებრინჯაოს ხანა) მატარებლად [ბარამიძე 1998: 18-19; ბარამიძე 1999: 23-35; ჯიბლაძე 2016-ა:77-105].

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე შემდეგი ტალღა უნდა ყოფილიყო მეორე ქართველური კულტურული ნაკადი მეგრულ-ზანური მოსახლეობა, რომელსაც მიჩნევენ პროტოკოლხურ (II ეტაპი – შუაბრინჯაოს ხანა) და კოლხური გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანის ბრწყინვალე კულტურის შემქმნელად [მელიქიშვილი 1965:70; ლორთქიფანიძე 1986:57-58; მიქელაძე 1974: 20; 70-72].¹⁰ ისინი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში გზას იკვლევენ ჯერ რონისა და შემდეგ კი – მდ. ენგურის ქვემო ნელის აუზებში [მიქელაძე 1974: 72]. ვარაუდობენ, რომ სვანური და მეგრულ-ზანური ქართველური ეთნიკური კულტურული ნაკადების განვენა-გადაადგილება მოხდა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ჩევნენ ვსვამთ კითხვას: ხომ არ უკავშირდება კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე თავისებური კერამიკული ფორმებისა და ორნამენტაციის დამკვიდრება ქართველური ზანურენოვანი ეთნიკური კულტურული ნაკადის სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილებას?

გამოთქმულია ასევე მოსაზრება უძველესი პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომების

¹⁰ კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურის საწყისად მიაჩნიათ ძვ.წ. XVI-XV სს-ები (გ. მელიქიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, ალ. რამიშვილი, ელ. გოგაძე, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე და სხვ.), ძვ.წ. XIV, XIII სს-ები (დ. ქორიძე, ლ. სახაროვა, თ. ჩიგოშვილი, ზ. მახარაძე და სხვ), ძვ.წ. XVII-XVI სს-ები (ჯ. აფაქიძე) და ა.შ. ეს ქართული ეთნიკური კულტურული ნაკადი გვიანბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე (ძველი კოლხური I ეტაპი) იკავებს მთელ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიას, ხოლო II ეტაპზე (დაახლოებით ძვ.წ. IX-VII სს-ები) ვრცელდება მდინარე ფსოუმდე და მის გარეთაც. ამ საკითხებზე არსებული ლიტერატურა იხილეთ [ჯიბლაძე 2007:120-123].

ადგილობრივი განვითარების შესახებ [ჯავახიშვილი და სხვ. 1944: 14-45; კუფთი 1944: I-10; ჯაფარიძე 1961: 233]. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს უძველესი ქართველური ეთ-ნიკური კულტურული ნაკადების სვანური და მეგრულ-ზანური მოსახლეობის პირველსაცხოვრისი ადგილის თაობაზე. მკვლევართა ნაწილი, როცა ვარაუდობს სვანური მოსახლეობის მოსვლას სამხრეთიდან – პროტოხეთური წიაღიდან, ობიექტური მიზეზების გამო ძირითად დასკვნებს აგებს ენობრივი მოზაცემების საფუძველზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არქეოლოგიურ მასალებს. კერძოდ, თუ ჩავთვლით კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე სვანურ მოსახლეობას მოსულებად, ამ შემთხვევაში არქეოლოგიური მასალებით (კერამიკა, ლითონი) საძიებელია მათი სათავეები. როგორც ვარაუდობენ უნდა იქნეს გათვალისწინებული ქრისტიანული კრიტერიუმი. ეს იმას გულისხმობს, რომ მიგრაციული (მოსული) კულტურა თავის წარმომავლობის რაიონში (მაგალითად, მცირე აზიაში) უფრო ადრე არსებობდა ვიდრე ახალში. ასევე ახალ ადგილზე მოსულმა კულტურამ უნდა დააფიქსიროს ძველი ადგილის (ე.ი. პირველსაცხოვრისი ტერიტორიის) ყველა კომპლექსური ნიშანი.

როგორც აღნიშნავენ, მეგრულ-ზანურმა ერთობამ შეითვისა კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მცხოვრები სვანური მოსახლეობის ტექნიკური მიღწევები, მეორე მხრივ მოიტანა უფრო პროგრესული ჩვევები, საომარი და სამეურნეო იარაღების ახალი ფორმები, რომლებიც სამხრეთიდან კოლხეთის დაბლობის სიღრმეში გადმოადგილების დროს ქართულ ახალ კულტურულ ნაკადს ძველი აღმოსავლეთის მაღალდანიზაურებული ცივილიზაციის კერებთან მჭიდრო კონტაქტების შედეგად ჰქონდა შეთვისებული [ლორთქიფანიძე 1986: 57].

მიჩნეულია, რომ მეგრულ-ზანურმა შეავინროვა სვანურენოვანი მოსახლეობა და დაიკავა დღევანდველი ზღვის სანაპირო ზოლი და რიონ-ენგურის აუზი, რის შემდეგ ბარში მცხოვრები პროტოკოლებური კულტურის მატარებელი სვანური მოსახლეობა ინაცვლებს მთაში, ნაწილი კი რჩება დაბლობ ზონაში და ერწყმის კოლხურ (მეგრულ-ზანურ) ნაკადს. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს არა ძალადობრივ შეცვლასთან, არამედ შერწყმა-დიფუზიასთან, როგორც ეს შესაძლებელია ორი მონათესავე კულტურის შეხვედრის დროს [ბარამიძე 1998-ა: 10].

კოლხეთში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ჩარჩიანი კერამიკის დამკვიდრება. აյ სამეთურეო ჩარჩი (ფეხის ჩარჩი) დამზადებული თიხის ჭურჭელი მასიურად ვრცელდება წინაანტიკურ ხანაში (ძველკოლხურ II ეტაპი). გვიანბრინჯაოს ხანის

საწყის ეტაპთან შედარებით, რომელსაც ახასიათებს თიხის ჭურჭლის ზედა ნაწილის გაფორმება მდიდრული ორნამეტით, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში (ადრეირკინის ხანა) კერამიკა უფრო მდარე ხარისხის ხდება. ორნამენტული სახეები ღარიბი და ერთგვაროვანია. ამის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად თვლიან კერამიკის სერიულ წარმოებას, როდესაც იმდენად არ ექცეოდა ყურადღება ჭურჭლის შემკობის გარეგან მხარეს [ოქროპირიძე, ბარამიძე 1974: 103–104]. ეს მომენტი რა თქმა უნდა, ყურადსაღებია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებში თიხის ჭურჭლელს არ ახასიათებდეს მრავალნაირი სახის დეკორი.

საყურადღებოა, რომ ძველკოლხური II ეტაპის (ძვ.წ. X–VII სს-ები) ნამოსახლარებზე მასიურად გვხვდება რელიეფურ სარტყელზე გამოყვანილი წათითური ფოსოებით შემკული თიხის ჭურჭლი. დეკორის ეს სახეობა დამახასიათებელი ელემენტია პროტოკოლხური პერიოდისათვის. ვფიქრობთ, კოლხური კერამიკის წარმოებაში ამ შემთხვევაში უნდა დავინახოთ ძველი ტრადიციების აღდგენა და გამრავლება. ძველკოლხურ II ეტაპზე ვრცელდება ფართოზოლიანი კანელურები, სოლური შტამპები, ბადური (რომბული) დეკორი, ტალღური, ზიგზაგოვანი მოტივები, ფიგურული შტამპები, ყურებისა და ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა. ორნამენტი ამ საფეხურზე უფრო ღარიბია, ვიდრე წინა ეტაპზე.

ძველი კოლხური კულტურის II ეტაპზე თიხის ნაწარმი განიცდის ფორმალურ ცვლილებებს, ჩნდება ახალი ტიპის ჭურჭლი, რომელიც ამ ეტაპის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია და მას კანელირებული ჭურჭლი ენთოდება [გოგაძე 1982: 67]. თვითონ კანელურები სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული: ზოგ მათგანს თავი აქვს მომრგვალებული, ნაწილს კი ზედა ნაწილში სამკუთხედი აზის. როგორც წესი, ვინწოდებულიანი კანელურიანი ჭურჭლი საშუალო და მცირე ზომისაა. ხოლო ფართოზოლიანი ასეთი სახის დეკორიანი მასალა სქელკეციანი და უფრო დიდი ჭურჭლის თანმხლებია.

ამრიგად, მიუხედავად ზემოთ გამოთქმული არაერთი მოსაზრებებისა, ჩვენ მაინც ვიხრებით იმ შეხედულებისაკენ, რომ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე პროტოკოლხური (II ეტაპი) პერიოდის დასასრულსა და ძველი კოლხური ხანის დასაწყისი ახალი ორნამენტული სახეების გავრცელება დაუკავშიროთ უძველესი ქართველური მეგრულ-ზანურებოვანი მოსახლეობის დამკვიდრებას.

Leri Jibladze

**Changes in ceramic production at the end of the Middle Bronze Age
in the Colchis Lowland**
(Review of Opinions Expressed)

Summary

Significant changes in ceramic production are found in the Middle Bronze Age and early Late Bronze Age in the Colchis Lowland. The main defining clay items characteristic of the Middle Bronze Age are falling into disuse and new forms and completely different ornamental faces are being introduced in pottery.

The connection of these changes observed in the pottery production in the stage I of Old Colchis with the clay is unlikely, as traces of this are less noticeable on the clay pottery. These changes in pottery were first noticed by B. Kuftin, and he found parallels between Colchian pottery and the clay production from Terramare culture, spread on the lowland of river Po, northern Italy.

Later, some researchers (T. Mikeladze, Kiazo Pitskhelauri, Konstantine Pitskhelauri, Joni Apakidze, etc.) repeated this sentiment. Some scholars consider the ancient Kartvelian ethnic cultural currents to be the bearers of Proto-Colchian and Old Colchian archeological cultures - the Svan and Zan-speaking populations (Megrelian-Chans).

ლიტერატურა

- აფაქიძე ჯ. 2003: კოლხური კულტურის საგარეო კავშირები ნამოსახლარების კერამიკული მასალების მიხედვით და მათი მნიშვნელობა აბსოლუტური ქრონოლოგიის კვლევისათვის, ძიებანი, №3, თბილისი, გვ. 49-62
- ბარამიძე გ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი.
- ბარამიძე გ. 1998ა: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), ავტორუფერატი, ხელნაწერი, თბილისი
- ბარამიძე გ. 1999:ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. საქართველო-აფხაზეთის მოამბე № 2-3, თბილისი, გვ. 23-35
- ბარამიძე გ. 2017: ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი
- ბოჭორიშვილი ლ 1949: კახური კრამიკა, თბილისი
- გობეჯიშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1959: გვიანი ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, გვ. 129-154
- გოგაძე ე. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი
- კახიძე ა., სურმანიძე ნ., ნაგერვანიძე გ. 2016: აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში, ბათუმი
- კახიძე ა., სურმანიძე გ. 2018: 2017 წლის მახვილაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, თბილისი, გვ. 172-175
- ლორთქიფანიძე ოთ 1986: არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი
- მელიქიშვილი გ. 1965: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხი-სათვის, თბილისი
- მელიქიშვილი გ. 1970: ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, გვ. 312-358
- მიბჩუანი თ. 1989: დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი

- მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტო-
რიიდან, თბილისი.
- ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. 1974: პალურის საძვლე (1969 წლის
მუშაობის შედეგები), მსკა V, თბილისი, გვ. 96-120.
- პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005: კოლხეთის ძველი ნამოსახ-
ლარები. ერგეტა,
- სინან კილიჯი 2019: ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის რეგიონ-
ალურ მუზეუმებში დაცული კოლხური ცულები,
საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა
(აჭარა), ბათუმი, გვ. 66-89
- ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ის-
ტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII სს.),
თბილისი
- ფიცხელაური კიაზო 2014: სამხრეთ კავკასია და სტეპური სა-
მყარო შუაბრინჯაოს ხანაში. საქართველოს მეც-
ნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის,
არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ის-
ტორიის სერია №2, თბილისი, გვ. 83-95
- ფიცხელაური კონსტანტინე (კოტე) 2012: სამხრეთ კავკასია,
წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა
ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში-არქეოლოგიურ კულ-
ტურათა კონტაქტების დინამიკა. საქართველოსა და
კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები,
თბილისი, გვ. 64-88
- ფიცხელაური კონსტანტინე (კოტე) 2006: ცენტრალურ ამიერკავ-
კასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII
სს-ები, თბილისი
- ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკო-
ნი 2011: თბილისი
- ფხავაძე გ. 1974: მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მსკა, VI,
თბილისი, გვ. 137-143
- ხახუტაიშვილი დ. 1995: ქობულეთის ქვეყანა, თბილისი
ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. 1943: საქართველოს
ისტორია, თბილისი (აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით)
ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის
ნარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი
- ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნა-
მოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია პე-
რიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის
მასალების მიხედვით), თბილისი.

- ჯიბლაძე ლ. 2001: კიდევ ერთხელ კოლხეთის შუა და გვიანბრინ-ჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხებზე. კავკასიონლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, კრებული ამირანი IV-V, თბილისი-მონრეალი, გვ.7-18
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათას-წლეულების ნამოსახლარები, თბილისი
- ჯიბლაძე ლ. 2016: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში № 23, თბილისი, გვ. 166-180
- ჯიბლაძე ლ. 2016-ა: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური აზრიბუცია. კრებული გურია № 6, თბილისი, გვ. 77-105
- Микеладзе Т., Хахутиашвили Д. 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури, Тбилиси.
- Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси.
- Микеладзе Т. 1994: Протоколхская культура. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Москва, стр.67-74.
- Катаомбная культурно-историческая общность. Материал из википедии-свободной энциклопедии
- Коридзе Д., Гогадзе Э. 1971: Результаты полевых работ проведенных Носирской археологической экспедиции в 1969 г., ssmae III, Тбилиси.
- Куфтин Б. 1944: К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ssmm XII-B, Тбилиси
- Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды. Т. II. Тбилиси
- Пицхелаури К 1974: Восточная Грузия В конце бронзового века, Тбилиси
- Попова Г.Б. 1955: Племена Катаомбной культуры, Труды Государственного исторического музея, выпуск N24, Государственный исторический музей, Москва


ტაბულების აღწერა

ტაბ. I-1-15; II-1,2,4-8,10-15 – კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა

ტაბ.III, IV – კოლხეთის დაბლობის გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა


ტაბ. I

I




ტაბ. II

II



— 1 —

ტაბ. III



ტაბ. IV

IV

